გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა
სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

სამოქალაქო განათლება

თბილისი
2012

საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი

სარჩევი

შესავალი	4
სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა	5
ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები	13
რეკომენდებული ლიტერატურა	40
სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტის ნიმუში	43

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2011 წლიდან ტარდება სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა, რომელიც პედაგოგთა კვალიფიკაციის შემოწმებასა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემას გულისხმობს.

წინამდებარე კრებულის მიზანია, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს გააცნოს სასერტიფიკაციო გამოცდის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა აღწერილობა და ნიმუშები, რეკომენდაციები.

კრებულში ასევე შეტანილია 2012 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტი და შეფასების სქემა.

სამოქალაქო განათლების ტესტი 70 ქულიანია. ტესტის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია, კანდიდატმა გადალახოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60% ზღვარი. (კანდიდატმა უნდა დააგროვოს 60% + 1 ქულა, ანუ 43 ქულა და მეტი).

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დაგეხმარებათ, უკეთ მოემზადოთ 2013 წლის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები

სამოქალაქო განათლება

2013 წლის საგამოცდო პროგრამა

სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს საზოგადოებრივ მეცნიერებებში (საბაზო და საშუალო საფეხური).

I. სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

1. მიმართულება: კვლევა

1.1. საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების, ადგილისა და მნიშვნელობის გაანალიზება;
1.2. საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების ამოცნობა და მრავალმხრივი გაანალიზება;
1.3. საზოგადოებრივი, რელიგიური, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, სახელმწიფო და ეკონომიკური ინსტიტუტების ფუნქციებისა და მნიშვნელობის გაანალიზება.
1.4. დემოკრატიული პრაქტიკის ანალიზი საზოგადოების ინტერესებთან, ტრადიციებთან და ღირებულებებთან მიმართებაში.
1.5. სამოქალაქო ცხოვრების, პოლიტიკისა და სახელმწიფოს მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი;
1.6. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლების ანალიზი;
1.7 სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის მოქალაქეთა შესაძლებლობების შესწავლა და განსაზღვრა;
1.8 საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელებისათვის სამოქალაქო მონაწილეობითი პროცესების მნიშვნელობის ანალიზი;

2. მიმართულება: შეფასება

2.1. საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში პოზიციის გამომუშავება და არგუმენტირებულად დაცვა;
2.2. საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში სხვადასხვა მიდგომისა თუ პოზიციის კრიტიკულად შეფასება;
2.3. მოვლენების, პროცესებისა და პოზიციების შეფასებისას შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენება.
2.4 კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედი ხელისუფლების საქმიანობაში დემოკრატიის მიზნების, ღირებულებებისა და პრინციპების ასახვის შეფასება;
2.5. ქვეყნის დემოკრატიაში მოქალაქეების როლის, მათი პირადი პოლიტიკური და ეკონომიკური ვალდებულებების შეფასება;

3. მიმართულება: კომუნიკაცია

3.1 საზოგადოებრივი ინტერესების განსახორციელებლად მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
3.2 საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობისას სხვადასხვა არგუმენტისა და გამოხატვის ფორმების მიზნობრივად გამოყენება;
3.3. იმ პროცესებსა თუ გადაწყვეტილებებში ინფორმირებულად და ეფექტურად მონაწილეობა, რომლებიც ეხება მოსწავლეებისა და საკუთარ პიროვნულ განვითარებას, მშობლებისა და სკოლის, საზოგადოების ინტერესებს.

II. სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლები და ძირითადი ცნებები:

1.1. საზოგადოებრივი მეცნიერებების ძირითადი საგანი და კვლევის ასპექტები.
1.2. პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონზომიერებები;
1.3. კულტურის არსი, რაობა და მისი მრავალფეროვნება;
1.4. რელიგია, როგორც კულტურული ფენომენი;

2. საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოყენებული ძირითადი მეთოდები:

2.1. მსჯელობა - ფაქტი და მოსაზრება;
2.2. ანალიზი (მიზეზ-შედეგობრივი, შედარებითი, სიტუაციური);
2.3. კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

3. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები:

3.1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საფუძვლები;
3.3. ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;
3.4. უფლებებისა და თავისუფლებების არსი;
3.5. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია;
3.6. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები.

4. კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა:

4.1. კონფლიქტი: მისი მართვა, გადაჭრა, ტრანსფორმაცია, კონფლიქტის ანალიზის ტექნიკები;
4.2. კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიები და ტიპები;
4.3. მშვიდობა, როგორც პროცესი – მისი არსი და სწავლების სტრატეგიები;
4.4. ფორმალური და არაფორმალური სამშვიდობო განათლება.

5. მშვიდობიანი თანაარსებობა და მრავალფეროვანი გარემო:

5.1. უმრავლესობა, უმცირესობები, მოწყვლადი ჯგუფები;
5.2. თანასწორობა და დისკრიმინაცია;
5.3. ინტეგრაცია და ასიმილაცია;
5.4. სტერეოტიპები;
5.5. ტოლერანტობა: მისი არსი და განზომილებები.

6. დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები:

6.1. დემოკრატიის მიზნები, ღირებულებათა საფუძვლები და პრინციპები;
6.2. დემოკრატიის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;
6.3. დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში.

7. ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მათი ურთიერთქმედება:

7.1. საზოგადოებრივი ინტერესები და სამოქალაქო საზოგადოება;
7.2. საზოგადოებრივი ინსტიტუტები და სისტემები;
7.3. სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი კომპონენტები: არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ინტერესთა ჯგუფები და არაფორმალური საზოგადოებრივი გაერთიანებები;
7.4. სამოქალაქო მონაწილეობა.

8. მოქალაქეობა და მისი ასპექტები:

8.1. მოქალაქეების სოციალური როლები;
8.2. მოქალაქის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა;
8.3. მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიაში;
8.4. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის ინფორმირებული, დაფიქრებული და ეფექტური მონაწილეობის ფორმები.
8.5. სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

9. გლობალური პრობლემები და მისი მოგვარების გზები:

9.1. სოციალური დაავადებები – ალკოჰოლიზმი და ნარკომანია;
9.2. არასრულწლოვანთა დამნაშავეობა;
9.3. განათლება და მისი ხელმისაწვდომობა;
9.4. დევნილები და ლტოლვილები;
9.5. სიღარიბე და მისი დაძლევის გზები;
9.6. მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები;
9.7. არათანაბარი განვითარება და კორუფცია;
9.8. ტრეფიკინგი;
9.9. სახელმწიფოს ძლიერების თანამედროვე მახასიათებლები და გლობალიზაცია;
9.10. საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები. საქართველოს ურთიერთობების პრინციპები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან;

10. სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ძირითადი თეორიები:

10.1. მმართველობა და თვითმმართველობა;
10.2. ძირითადი პოლიტიკური თეორიები და მათი არსი;
10.3. სახელმწიფოს ნიშნები, ფუნქციები, მოწყობა;
10.4.სახელმწიფოს ტიპები: მმართველობის ფორმები, საზოგადოებრივი წესწყობილება და პოლიტიკური რეჟიმები;
10.5 სამართლებრივი სახელმწიფო და მისი მახასიათებლები;
10.6. კანონის უზენაესობა და კანონიერება;
10.7. სამართლებრივი კულტურა;
10.8. საერთაშორისო სამართალის სახეები (ჰუმანიტარული, სისხლის სამართალი, გარემოსდაცვითი, ადამიანის უფლებების, შრომის და ა.შ.) და მისი მნიშვნელობა;
10.9. საქართველოში სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპები;
10.10. საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობა და მისი კავშირი საერთაშორისო სამართალთან (საქართველოს კონსტიტუცია და მისი ძირითადი პრინციპები).

11. ეკონომიკის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და თეორიები:

11.1. ძირითადი ეკონომიკური სისტემები;
11.2. ბაზრები და მათი ტიპები;
11.3. ფული და მისი ფუნქციები;
11.4. ეკონომიკური საქმიანობა, ბიზნესის ფორმები, ორგანიზება და დაფინანსება;
11.5. კეთილდღეობის არსი და მნიშვნელობა;
11.6. საზოგადოებრივი სარგებლობის საქონელი და მომსახურება;
11.7. სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და პოლიტიკა;
11.8. პროფესიონალიზმი და ცოდნის ეკონომიკა;
11.9. ეკონომიკური გარემო;
11.10. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები.

III. სწავლების მეთოდები

1. სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

1.1. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;

1.2. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, სადაც მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა და რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და გამოცდილებას;

1.3. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებში გააზრებული და საფუძვლიანი ცოდნის შეძენასა და უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებაზე;

1.4. მიზნის შესაბამისი შეფასების ისეთი ტიპებისა და ფორმების შერჩევა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება არა მარტო გამოვლინდეს მოსწავლეთა შესაძლებლობანი და შეფასდეს მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ ხელი შეეწყოს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

1.5. შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და შეფასების ცხრილებისა და სქემების შედგენა შემდეგი ტიპის აქტივობებისათვის: პრობლემის იდენტიფიკაცია, ინფორმაციის მოძიება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მათი ეფექტურობის შეფასება, ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების გამოყენება, ისტორიულ-გეოგრაფიული წყაროებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების ანალიზი, ისტორიული და გეოგრაფიული კვლევის დაგეგმვა, ჩატარება და პრეზენტაცია, საზოგადოებრივი მეცნიერებების თემებზე საკლასო დისკუსიებში მონაწილეობა, სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებების შესრულება და სხვა;

1.6. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საზოგადოებრივი მეცნიერებების და სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან თანამშრომლობა და ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება – ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა არასაგაკვეთილო აქტივობების ერთობლივი დაგეგმვა;

1.7. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესის დაგეგმვისას საფეხურებს შორის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინება.

1.8. სასწავლო პროცესისათვის იმ ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს სოციალურ და სამოქალაქო კომპეტენციებს - საკუთარი აზრის დაფიქსირება და დაცვა, განსხვავებული აზრის პატივისცემა და გათვალისწინება, ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება, სხვისი უფლებების პატივისცემა, ტოლერანტობა, კონფლიქტების პრევენცია და მოგვარება, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

2. სასწავლო პროცესის წარმართვა:

2.1. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების გამოყენება;

2.2. მოსწავლეებში, საზოგადოებრივი მეცნიერებების ცოდნის გაღრმავებისა და უნარების განვითარების მიზნით, თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება.

2.3. აქტივობების იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ კვლევითი უნარი, და შეძლონ როგორც სხვათა, ასევე საკუთარი კვლევების კრიტიკული შეფასება;

2.4. მოსწავლეებში საზოგადოებრივი მეცნიერებების საკითხებზე სადისკუსიო და წერითი უნარების განვითარებისათვის ხელშეწყობა;

2.5. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლის პროცესში ყველა მოსწავლის (მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით) მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა (ჯგუფურ მუშაობებში და პროექტებში მონაწილეობა, სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლივი დაგეგმვა და განხორციელება და სხვ.).

2.6. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას საგანთაშორისი კავშირების დამყარება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნის ტრანსფერი – ერთ საგანში მიღებული ცოდნის სხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანა და გამოყენება.

2.7. აქტივობების იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება;

2.8. მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი და მოხერხებული ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების, მედია და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნა);

2.9. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა-სწავლების პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი.

2.10. სასწავლო პროცესის იმგვარად წარმართვა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სემიოტიკური კომპეტენციის განვითარებას – რუკის, ფოტოს, დიაგრამის, სქემის და ა.შ. საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრების, ინტერპრეტირების და ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარის განვითარება.

3. შეფასება:

3.1. საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და სქემების შედგენა და გამოყენება;

3.2. საზოგადოებრივ მეცნიერებებში მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგის წარმართვა;

3.3. საზოგადოებრივ მეცნიერებებში მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა, ანალიზი და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

3.4. მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად შეფასების მონაცემების გამოყენება;

3.5. საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება; მის მიერ გამოყენებული თანამედროვე სწავლების კონცეფციების, მეთოდებისა და ტექნიკის კრიტიკულად შეფასება.

4. სამოქალაქო განათლების სწავლება მოსწავლის პიროვნული, კულტურული განვითარებისა და ესთეტიკური აღზრდის უზრუნველსაყოფად:

4.1. ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარის განვითარებაში;

4.2. ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას;

4.3. ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების გამომუშავებასა და მაღალი გემოვნების განვითარებას;

4.4. ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ცოდნაზე დაფუძნებული პატრიოტიზმის განვითარებას;

4.5. ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებას.

4.6 ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები

o *არჩევითპასუხიანი დავალება*

<u>**დავალების აღწერა**</u> – დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ თქვენ მიერ არჩეული სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას, მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და განსხვავებების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, გამოვლენის უნარს. ამ ტიპის დავალებებით შემოწმდება ასევე საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნაც. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

1. **რომელი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?**

   ა. ევროპის სოციალური ქარტია

   ბ. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ბილი

   გ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

   დ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

სწორი პასუხია: *სწორი პასუხია დ.*

ა	*ბ*	*გ*	*დ*
			X

- **საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის წესს. კანონის თანახმად დასაშვებია:**

ა. პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით;

ბ. პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება წინასწარი ნებართვის გარეშე;

გ. მოქალაქე იყოს ერთზე მეტი პარტიის წევრი;

დ. პარტია იყოს სამეწარმეო იურიდიული პირი;

სწორი პასუხია: *პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით. კანონის მიხედვით, პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პარტიის წევრი, ხოლო მოქალაქეთა ჯგუფს პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება წინასწარი ნებართვის გარეშე შეუძლია. შესაბამისად სწორი პასუხია ბ.*

ა	ბ	გ	დ
	X		

- **თქვენი მიზანია, მოსწავლეებს თემის „სოციალური დაავადებები მოზარდებში“ შესწავლის პროცესში განუვითაროთ აზროვნების ზედა დონის ისეთი უნარ-ჩვევა, როგორიცაა სინთეზი. რომელი დავალებითაა შესაძლებელი ამ მიზნის მიღწევა?**

ა. აღწერეთ ის საშიშროებები, მოზარდებში თამბაქოს მოხმარებას რომ მოსდევს.

ბ. თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს მოზარდებში თამბაქოს მოხმარების შემცირებისათვის. დაგეგმეთ პრობლების გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებები.

გ. შეაგროვეთ და განიხილეთ მოზარდებს შორის თამბაქოს მოხმარების სტატისტიკური მონაცემები საქართველოს, მეზობელი ქვეყნებისა და მსოფლიოსათვის.

დ. რატომაა მაღალი თამბაქოს მომხმარებელ მოზარდთა რიცხვი, დაადგინეთ ამ სოციალური დაავადების გამომწვევი მიზეზები.

სწორი პასუხია: *დავალება ამოწმებს, შეუძლია თუ არა მასწავლებელს აზროვნების სხვადასხვა დონის ასამოქმედებელი შეკითხვების ერთმანეთისაგან გარჩევა და ადეკვატურად გამოყენება. ბლუმის სააზროვნო (შემეცნებითი) უნარების ტაქსონომიის მიხედვით, აზროვნების/შემეცნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაიყოს: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. მასწავლებელმა ჩამოთვლილი სასწავლო ამოცანებიდან უნდა შეარჩიოს დავალება, რომელიც მოითხოვს მოსწავლისაგან აზროვნების ზედა დონის ისეთი უნარ-ჩვევების ამოქმედებას, როგორიცაა სინთეზი. ბლუმის ტაქსონომიის თანახმად, ჩამონათვალიდან ასეთი დავალებაა, პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვა.*

ა	ბ	გ	დ
	X		

o *შესაბამისობის დადგენა*

<u>**დავალების აღწერა**</u> – დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. უნდა დადგინდეს შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები იწერება პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მისი გამოყენების უნარს, ინფორმაციის კლასიფიცირების, მისი გარკვეული ნიშნით დაჯგუფების, განზოგადების, ინფორმაციათა შორის შესაბამისობის დამყარების, ინფორმაციის გაანალიზების უნარს. თითოეული დავალება მაქსიმუმ 2 ქულით ფასდება.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **სამოქალაქო ინიციატივები შეუსაბამეთ მათი განხორციელებისათვის საჭირო მოქალაქეთა რაოდენობას:**

I	II
ა. საკანონმდებლო ინიციატივა **ბ.** რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნა **გ.** პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება	1. არანაკლებ 300 ამომრჩეველი 2. არანაკლებ 30 000 ამომრჩეველი 3. არანაკლებ 100 000 ამომრჩეველი 4. არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი

სწორი პასუხია:

I	ა	ბ	გ
II	2	4	1

- **დაადგინეთ შესაბამისობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ ემბლემებს შორის:**

(I)	(II)
ა. ბ. გ.	1. ევროპის კავშირი 2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია 3. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 4. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 5. ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

სწორი პასუხია:

I	ა	ბ	გ
II	5	1	4

- „თავისუფლების რუკა” მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებას ასახავს. ცხრილში მოცემული პოლიტიკური რეჟიმი შეუსაბამეთ ფერს, რომელიც რუკაზე შესაბამისი რეჟიმის მქონე ქვეყანას აღნიშნავს:



I	II
ა. ლურჯი	1. ნაწილობრივ დემოკრატიული
ბ. ყვითელი	2. არადემოკრატიული
გ. მწვანე	3. დემოკრატიული

სწორი პასუხია:

I	ა	ბ	გ
II	2	1	3

o *თანმიმდევრობის განსაზღვრა*

<u>**დავალების აღწერა**</u> – დავალებაში მოცემული ჩამონათვალი უნდა დალაგდეს მითითებული პრინციპის შესაბამისად (მოვლენათა ქრონოლოგია, პროცესის ეტაპების თანმიმდევრობა და სხვ.). პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცლის მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ ჩამონათვალის შესაბამისი ციფრი. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნასა და ცოდნის გამოყენების, ინფორმაციის მოცემული პრინციპის შესაბამისად დალაგების უნარს. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **დაალაგეთ საქართველოს მოქალაქის უფლებები მათი გამოყენების ასაკის შესაბამისად:**

1. მოსამართლეობა
2. საკრებულოს წევრობა
3. საკუთარი ქონების განკარგვა
4. პრეზიდენტობის კანდიდატობა

სწორი პასუხია: ქონების განკარგვა – 18 წლიდან, საკრებულოს წევრობა – 21 წლიდან, მოსამართლეობა – 28 წლიდან, პრეზიდენტობის კანდიდატობა – 35 წლიდან,

3	2	1	**4**

* ბოლო პასუხი მითითებულია ცხრილში.

- **კონკურენციის სახეები დაალაგეთ საბაზრო კონკურენციის ხარისხის ზრდის შესაბამისად:**
  1. მონოპოლისტური
  2. სრულყოფილი
  3. ოლიგოპოლია
  4. მონოპოლია

სწორი პასუხია: მონოპოლია, ოლიგოპოლია, მონოპოლისტური კონკურენცია, სრულყოფილი კონკურენცია.

4	3	1	**2**

* ბოლო პასუხი მითითებულია ცხრილში.

- **ადამიანის მოთხოვნილებათა ჩამონათვალი დაალაგეთ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელის შესაბამისად:**

1. მიღწევა, სტატუსი, რეპუტაცია
2. დაცულობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება
3. პიროვნების განვითარება და რეალიზაცია
4. ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა

სწორი პასუხია: მოტივაციის იერარქიული თეორია: უსაფრთხოება, მიკუთვნება და სიყვარული, თვითპატივისცემა, თვითაქტუალიზაცია

2	4	1	3

* პირველი პასუხი მითითებულია ცხრილში.

o *ღიადაბოლოებიანი დავალება*

<u>**დავალების აღწერა**</u> – დავალებაში მოცემულია შეკითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით გაეცანით პირობას და გაეცით კონკრეტული პასუხი. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ შესაბამის ადგილას. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს მსჯელობის, არგუმენტირების, დასაბუთების, საკითხის ცოდნისა და ახსნის უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **როგორ აუხსნით მოსწავლეს, რა არსებითი განსხვავებაა რეფერენდუმსა და პლებისციტს შორის?**

სწორი პასუხია:

რეფერენდუმი საერთო-სახალხო გამოკითხვაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, ხოლო პლებისციტი – ამომრჩეველთა აზრის გასაგებად ტარდება; რეფერენდუმის შედეგებს აქვს კანონის ძალა, ხოლო პლებისციტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

შეფასება: კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა და მკაფიოდაა ახსნილი განსხვავება, შეფასდება 1 ქულით.

- **ახსენით, რა არის სტერეოტიპი. დაასახელეთ სტერეოტიპული შეხედულების მაგალითი. რა უარყოფითი მხარე აქვს სტერეოტიპულ აზროვნებას.**

სწორი პასუხია:

სქემატური, განზოგადებული შეხედულება რაიმე სოციალურ მოვლენაზე ან ობიექტზე. ადამიანთა ჯგუფის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენის გავრცელება (პოზიტიური ან ნეგატიური თავისებურებების მიწერა) ჯგუფის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს წარმოდგენა კონკრეტულ ინდივიდებს. (1 ქულა)

მაგალითი – „გერმანელები არიან შრომისმოყვარენი", „ქალები ცუდად მართავენ მანქანას". (1 ქულა)

უარყოფითი მხარე – სტერეოტიპული აზროვნების დროს ხდება ადამიანების ან იდეების გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუთვითცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია. (1 ქულა)

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც მოცემულია სწორი განმარტება და არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, შეფასდება 1 ქულით. შესაბამისი მაგილითის მოყვანა – 1 ქულა, უარყოფითი მხარის ჩვენება – 1 ქულა. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

o *შეცდომის გასწორება*

<u>**დავალების აღწერა**</u>: დავალებაში მოცემულია ტექსტი (ცხრილი/რუკა), რომელშიც მოსწავლემ გარკვეული ინფორმაცია შეცდომებით წარმოადგინა. პედაგოგმა უნდა აღმოაჩინოს და შეასწოროს მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები. მოცემული დავალება ამოწმებს შეფასების უნარს, მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების აღმოჩენისა და შესწორების, ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. ყოველი ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი (წყვილი) 1 ქულით შეფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, აღმოაჩინეთ და შეასწორეთ შეცდომები:**

პარლამენტარიზმი საქართველოში

საქართველოში სამეფო ძალაუფლების შეზღუდვისა და პარლამენტის ტიპის ხელისუფლების შექმნის იდეა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში გაჩნდა, საფრანგეთში ,,თავისუფლების დიდი ქარტიის" მიღებამდე ცოტა ხნით ადრე.

1906 წლიდან ქართველებს რუსეთის საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცათ. სხვადასხვა დროს საქართველოდან წარგზავნილ დეპუტატთა შორის იყვნენ ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე. ამავე დროს, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი წერეთელი.

1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებით, აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. უკვე დამოუკიდებელ საქართველოში შეიქმნა არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო - დამფუძნებელი კრება, რომელმაც 1919 წელს პირველი ქართული კონსტიტუცია მიიღო. მალევე საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ და საქართველოში დამოუკიდებელი საპარლამენტო

ხელისუფლება, ფაქტობრივად, ათეულობით წლის მანძილზე აღარ არსებობდა. 1991 წელს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. არჩეულმა უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

2010 წელს თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის 20 წლისთავი აღინიშნა. დღეს საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს ქვეყნის მოსახლეობა პროპორციული საარჩევნო სისტემით ირჩევს. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

სწორი პასუხია:

შეცდომითაა		**უნდა იყოს**
1.	XIII საუკუნე	XII საუკუნე
2.	საფრანგეთი	ინგლისი
3.	აკაკი წერეთელი	ილია ჭავჭავაძე
4.	1919 წელი	1921 წელი
5.	1991 წელი	1990 წელი
6.	პროპორციული	შერეული
7.	ხუთი წლით	ოთხი წლით

შეფასება: ყოველი ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი (წყვილი) 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 7 ქულა.

- **ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, აღმოაჩინეთ და შეასწორეთ შეცდომები:**

1859 წლის 24 ივნისს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ სოლფერინოში გაიმართა ბრძოლა ავსტრიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის. თექვსმეტი საათის შემდეგ ბრძოლის ველზე 40 ათასი დაჭრილი და მოკლული ჯარისკაცი სათანადო სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩა. ნანახით შეძრწუნებულმა ნორვეგიელმა ბიზნესმენმა ანრი დიუფურმა, თავის ოთხ თანამემამულესთან ერთად 1869 წელს დაჭრილთა დახმარების კომიტეტი დააარსა. მას შემდგომში თეთრი ლენტის საერთაშორისო კომიტეტი ეწოდა. დღეისათვის ეს საერთაშორისო მოძრაობა თითქმის ყველა ქვეყანაში საქმიანობს და დაახლოებით 100 მილიონ წევრსა და მოხალისეს აერთიანებს. შემუშავდა ორი კონვენცია, რომლებიც ომის წარმოების ჰუმანიტარულ წესების განსაზღვრავენ. ჰელსინკის კონვენციების სახელით ცნობილი ეს კონვენციები, დღესაც ძალაშია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფუძემდებელ დოკუმენტს წარმოადგენენ.

სწორი პასუხია:

შეცდომითაა	**უნდა იყოს**
ნორვეგიელმა	შვეიცარიელმა
ანრი დიუფურმა	ანრი დიუნანმა
1869 წელს	1863 წელს
თეთრი ლენტის	წითელი ჯვრის
ორი	ოთხი
ჰელსინკის	ჟენევის

შეფასება: ყოველი ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი (წყვილი) 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 6 ქულა.

o *ზედმეტის ამოცნობა*

<u>**დავალების აღწერა**</u>:

ამ ტიპის დავალებებში მოცემულია სხვადასხვაგვარი ჩამონათვალი (ტერმინები, ფაქტები, ცნებები, მოვლენები, სახელწოდებები, ისტორიული პირები და ა.შ.). აქვე მითითებულია, რომ ამ ჩამონათვალში ერთ-ერთი ზედმეტია; აპლიკანტს მოეთხოვება აუხსნას მოსწავლეს, თუ რა ძირითადი ნიშნითაა იგი ზედმეტი, ძირითადი ჩამონათვალისათვის დამახასიათებელი რომელი ნიშანი არ ახასიათებს მას. ზოგიერთ შემთხვევაში, აპლიკანტს დაევალება თავად ამოიცნოს ჩამონათვალიდან ზედმეტი და შემდეგ ახსნას. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების, ინფორმაციის ანალიზის, ფაქტებს/მოვლენებს შორის არსებული ურთიერთკავშირის, მსგავსება-განსხვავების გამოვლენის, ლოგიკური აზროვნების უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 1.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **ჩამოთვლილთაგან ზედმეტია „ებრაელები", აუხსენით მოსწავლეს, რა განსხვავებაა ებრაელებსა და დანარჩენ ჩამოთვლილ ხალხებს შორის?**

ა) ბოშები

ბ) ებრაელები

გ) ქურთები

დ) ბასკები

სწორი პასუხი: ებრაელებისაგან განსხვავებით, ბოშებს, ქურთებს და ბასკებს საკუთარი სახელმწიფო არ გააჩნიათ. (1 ქულა)

- **ჩამოთვლილთაგან ზედმეტია მანუელ დურაუ ბაროზუ. აუხსენით მოსწავლეს, რა განსხვავებაა მასსა და დანარჩენ ჩამოთვლილ პირთა შორის.**

ა) მანუელ დურაუ ბაროზუ
ბ) ბუტროს-ბუტროს გალი
გ) ბან კი მუნი
დ) კოფი ანანი

სწორი პასუხი: ბაროზუსაგან განსხვავებით, ბუტროს-ბუტროს გალი, კოფი ანანი და ბან კი მუნი გაეროს გენერალური მდივნები არიან. (1 ქულა)

- **ჩამოთვლილთაგან გამოყავით ზედმეტი და ახსენით თქვენი არჩევანი.**

ა) საკანონმდებლო ხელისუფლება
ბ) აღმასრულებელი ხელისუფლება
გ) სასამართლო ხელისუფლება
დ) მეოთხე ხელისუფლება

სწორი პასუხი: ზედმეტია მეოთხე ხელისუფლება; საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების შტოებია; მეოთხე ხელისუფლებას კი ეძახიან მასმედიას თავისი ძალაუფლებისა და გავლენის გამო. (1 ქულა)

- *წყაროს (პრობლემის) ანალიზი*

<u>**დავალების აღწერა:**</u> დავალებაში მოცემულია ტექსტი (ცხრილი/რუკა). აპლიკანტმა უნდა ამოიცნოს, რომელ ისტორიულ პირზე, ორგანიზაციაზე ან პროცესზე/მოვლენაზეა საუბარი ტექსტში; მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, პრობლემის ანალიზის, ტექსტის გაგებისა და საჭირო ინფორმაციის გამოყოფისა და კონტექსტში გააზრების უნარს; ასევე ეს დავალება ამოწმებს მნიშვნელოვან პედაგოგიურ უნარს, კერძოდ, პრობლემის ახსნის უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

- **ყურადღებით გაეცანით ტექსტს ,,ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე" და უპასუხეთ კითხვებს:**

1989 წლის 23 აგვისტოს ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის მოქალაქეებმა შეკრეს 600 კილომეტრიანი ცოცხალი ჯაჭვი, ე.წ. „ბალტიის გზა", ამით გამოხატეს თავისი დამოკიდებულება ტოტალიტარიზმის მიმართ და მთელს მსოფლიოს აჩვენეს თავისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

2009 წელს 23 აგვისტო ევროპის პარლამენტის და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ გამოცხადდა ტოტალიტარული რეჟიმების მსხვერპლთა ხსოვნის დღედ.

საქართველო 2010 წელს პარლამენტის დადგენილებით შეუერთდა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებას, რომლითაც გათანაბრდა ყველა დროის ყველაზე დანაშაულებრივი ორი ტოტალიტარული რეჟიმი.

23 აგვისტო უკავშირდება მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღს, რომელიც ადასტურებს, რომ გარკვეული პერიოდი, ეს რეჟიმები მოქმედებდნენ როგორც მოკავშირეები. ამ რეჟიმების დანაშაულთა მასშტაბი და სისატიკე არ ჩამოუვარდება

ერთმანეთს და მათ ასეულმილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. ამ მსხვერპლთა შორისაა საქართველოს ასეულათასობით მოქალაქეც.

კითხვები:

1. რომელ ორ ტოტალიტარულ რეჟიმზეა საუბარი ტექსტში?

2. დაასახელეთ ხელშეკრულება, რომელსაც უკავშირდება თარიღი 23 აგვისტო.

3. რა იყო ამ ხელშეკრულების მთავარი არსი, რის გამოც ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე სწორედ ამ თარიღს დაუკავშირდა?

4. თქვენი აზრით, რატომაა ევროპის აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანი?

5. რატომაა მნიშვნელოვანი ეს ინიციატივა ჩვენი ქვეყნისათვის?

სწორი პასუხი:

1. ნაციზმი (გერმანია) და კომუნიზმი (საბჭოთა კავშირი).
ორივე რეჟიმის დასახელება 1 ქულა

2. 1939 წლის ე. წ. რიბენტროპ-მოლოტოვის თავდაუსხმელობის პაქტი, **1 ქულა.**

3. საბჭოთა კავშირმა და ნაცისტურმა გერმანიამ პაქტის ხელმოწერით გავლენის სფეროებად დაინაწილა ევროპა. ეს თარიღი უკავშირდება ყველაზე სისხლისმღვრელ ომს კაცობრიობის ისტორიაში; **1 ქულა**

4. დასახელებულია მინიმუმ ერთი სწორი მოსაზრება ინიციატივის მნიშვნელობის შესახებ - 1 ქულა.

<u>ნიმუში:</u> მნიშვნელოვანია, რომ ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ჩადენილ დანაშაულებს მიეცეს როგორც სამართლებრივი და ისტორიული, ისე პოლიტიკური შეფასება, რათა საბოლოოდ დასრულდეს ამ დანაშაულთა ყოველგვარი გამართლება; წარსულის მიუკერძოებელი შეფასება მნიშვნელოვანია მომავალში მსგავს დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად.

30.5 დასახელებულია მინიმუმ ერთი სწორი მოსაზრება ინიციატივის მნიშვნელობის შესახებ - 1 ქულა.

<u>ნიმუში:</u> საქართველო 70 წელი იმყოფებოდა ტოტალიტარიზმის პირობებში. მძიმე მემკვიდრეობა კვლავ ზემოქმედებს აწმყოზე. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ კომუნიზმი ისეთივე დანაშაულებრივი რეჟიმია, როგორც ფაშიზმი. ეს ინიციატივა ხელს უწყობს ,,განსაბჭოებას'' წარსულის შეფასების გზით.
დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

- **რუკაზე მუქად გამოსახულია ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები.**

1. დაასახელეთ ამ ორგანიზაციის სრული სახელი.

2. რომელ წელს შეუერთდა ამ ორგანიზაციას საქართველო?

3. თანმიმდევრულად აუხსენით მოსწავლეს, თუ როგორ ამოიცანით. დაასახელეთ ძირითადი ნიშნები, რომელიც დაგეხმარათ ამოცნობაში.

სწორი პასუხი:

1. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია.

2. საქართველო ეუთოს შეუერთდა 1992 წლის 24 მარტს.

3. წევრი ქვეყნები სცდება ევროპას, შედის ამერიკა და კანადაც, ასევე რუსეთი და შუა აზიის ქვეყნები, არ მოიცავს მსოფლიოს ყველა ქვეყანას.

o *სადისკუსიო თემის განსაზღვრა*

<u>**დავალების აღწერა**</u>: დავალებაში მოცემულია წყარო (წერილობითი ან გრაფიკული). წყაროში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პედაგოგმა უნდა განსაზღვროს სადისკუსიო თემა, ჩამოაყალიბოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია და მოიყვანოს არგუმენტები თითოეული თვალსაზრისის სასარგებლოდ. დავალება ამოწმებს მნიშვნელოვან პედაგოგიურ უნარს, სადისკუსიო თემის სწორად შერჩევის, მოსწავლეთათვის არგუმენტირებული მსჯელობის განვითარების. დავალების მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ამ ტიპის დავალების ნიმუში და შეფასების სქემა იხილეთ თანდართულ 2012 წლის საგამოცდო ტესტში.

o *მოსწავლის ნაშრომის შეფასება*

<u>**დავალების აღწერა:**</u> დავალებაში მოცემულია მოსწავლისათვის მიცემული დავალება, რომელსაც თან ახლავს შეკითხვები; აგრეთვე კონკრეტული მოსწავლის რეალური პასუხები დასმულ შეკითხვებზე. ამას თან ერთვის შეფასების კრიტერიუმები (შეფასების სქემა), რომლის გამოყენებითაც, პედაგოგმა უნდა შეძლოს მოსწავლის ნამუშევრის შეფასება. ეს დავალება მეთოდური ხასიათისაა და ამოწმებს, რამდენად ფლობს და ადეკვატურად იყენებს პედაგოგი შეფასების უნარს სასწავლო პროცესში. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით:

- **ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. შეაფასეთ მოსწავლის პასუხები მოცემული შეფასების კრიტერიუმის გათვალისწინებით. დაასაბუთეთ, თუ რატომ დაწერეთ ესა თუ ის ქულა.**

არსებობს მოსაზრება, რომ კონფლიქტი უარყოფითი მოვლენაა. მოსწავლემ მოიყვანა ორი არგუმენტი ამ მოსაზრების განსამტკიცებლად, ხოლო ორი არგუმენტი – ამ მოსაზრების საპირისპიროდ.

<u>კონფლიქტის უარყოფითი მხარეებია:</u>

1. კონფლიქტში შესაძლოა დავმარცხდეთ.

2. მოწინააღმდეგე მხარეს უყალიბდება დამახინჯებული წარმოდგენა ჩვენს პოზიციაზე.

<u>კონფლიქტის დადებითი მხარეებია</u>:

3. კონფლიქტი გვეხმარება მართალისა და მტყუანის გამოვლენაში.

4. გვეხმარება ახალი შესაძლებლობის მონახვაში, ასევე წინსვლასა და განვითარებაში.

<u>შეფასების კრიტერიუმი:</u> მოსწავლის ლოგიკური არგუმენტი (არგუმენტირებული მსჯელობა), რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, 1 ქულით ფასდება. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის თითოეული არგუმენტი ფასდება 1 (ერთი) ან 0 (ნული) ქულით.

სწორი პასუხი:

<u>უარყოფითი მხარეების შეფასება:</u>

<u>არგუმენტი 1.</u> – კონფლიქტში მართლაც შესაძლოა დავმარცხდეთ, რაც კონფლიქტის უარყოფითი მხარეა. შესაბამისად, მოსწავლის ეს არგუმენტი განამტკიცებს მოსაზრებას, რომ კონფლიქტი უარყოფითი მოვლენაა და შეფასდება 1 ქულით.

<u>არგუმენტი 2.</u> – ხშირად არასწორი წარმოდგენა ყალიბდება მხარეთა რეალურ ინტერესებზე და არა პოზიციაზე, რომელსაც მხარეები ღიად და საჯაროდ წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია სწორედ ინტერესები და ნაკლებად – პოზიცია. მოსწავლის ეს პასუხი შეფასდება 0 ქულით.

<u>დადებითი მხარეების შეფასება</u>:

<u>არგუმენტი 3.</u> – კონფლიქტის გადაჭრის მიზანი არაა მართალისა და მტყუანის გამოვლენა. ხშირად ეს შეუძლებელიცაა, რადგან თავისი სუბიექტური რეალობიდან გამომდინარე, ორივე მხარე მართალია. ეს არგუმენტი ვერ ჩაითვლება კონფლიქტის დადებით მხარედ. შესაბამისად, მოსწავლე შეფასდება 0 ქულით.

<u>არგუმენტი 4.</u> – კონფლიქტი გვეხმარება ახალი შესაძლებლობის მონახვაში, ასევე წინსვლასა და განვითარებაში. მოყვანილი არგუმენტი კონფლიქტის დადებითი მხარეა, რის გამოც კონფლიქტი არ შეიძლება ჩაითვალოს ცალსახად უარყოფით მოვლენად. მოსწავლის ეს პასუხი შეფასდება 1 ქულით.

შეფასება: თითოეული სწორი და დასაბუთებული შეფასებისათვის პედაგოგი 1 ქულით შეფასდება. ამ დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

არგუმენტის №	1	2	3	4
მოსწავლის შეფასება	**1**	**0**	**0**	**1**
პედაგოგის შეფასება	1 ქ.	1 ქ.	1 ქ.	1 ქ.

o *გაკვეთილის დაგეგმვა*

<u>**დავალების აღწერა**</u>:

ამ დავალებაში პედაგოგს მოეთხოვება კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით გაკვეთილის დაგეგმვა (უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მთავარი თემა, გაკვეთილის მიზანი, წინაპირობა, სასწავლო მასალა და კონკრეტული რესურსები, გაკვეთილის მსვლელობა/აქტივობები (რა კონკრეტული აქტივობები უნდა დაიგეგმოს საგაკვეთილო მიზნის მისაღწევად), საშინაო დავალება და სხვ.). შესაძლოა, პედაგოგს დაევალოს გაკვეთილის დაგეგმვის მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კომპონენტის შესრულება. (მაგალითად, სასწავლო აქტივობის მიზნის განსაზღვრა, ან სასწავლო მიზნის შესაბამისი აქტივობის შერჩევა/დაგეგმვა.) მოცემული დავალება მეთოდური ხასიათისაა. ამ ტიპის დავალების ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ამ დავალებით მოწმდება შემდეგი პედაგოგიური უნარები:

- ✓ სასასწავლო რესურსის ადეკვატურად შერჩევა-გამოყენება;
- ✓ საგაკვეთილო მიზნების ეროვნული სასწავლო გეგმის (საგნობრივი პროგრამის) გათვალისწინებით განსაზღვრა (მოკლევადიანი მიზნის გრძელვადიან მიზანთან შესაბამისობა).
- ✓ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მოსწავლეთა ცოდნის, შესაძლებლობებისა და გამოცდილების გათვალისწინება;
- ✓ საგაკვეთილო მიზნის სწორად დასახვა (რამდენად რეალისტური და მიღწევადია მიზანი);
- ✓ სასწავლო აქტივობების მიზნის შესაბამისად შერჩევა და დაგეგმვა;
- ✓ კლასის ორგანიზების ოპტიმალური ფორმის შერჩევა;
- ✓ საგაკვეთილო დროის სწორად ორგანიზება;
- ✓ სასწავლო პროცესის დაგეგმვის სხადასხვა ეტაპებს/კომპონენტებს შორის ლიგიკური კავშირის დამყარება.

გთავაზობთ გაკვეთილის გეგმის სქემატურ აღწერილობას:

1. **გაკვეთილის მიზნები**

ამ პუნქტში უნდა აისახოს მიზნები, რომელთა მიღწევასაც გეგმავთ გაკვეთილზე. სასწავლო მიზნები გამოხატავს იმას, რასაც სწავლის პროცესში უნდა მივაღწიოთ, ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა და ასევე რა განწყობა თუ დამოკიდებულება უნდა ჩამოუყალიბდეთ. აპლიკანტს შეუძლია დაწეროს: მე მინდა, რომ ჩემმა მოსწავლეებმა იცოდნენ, გაიგონ, აღწერონ, შეადარონ, შექმნან, გაანალიზონ, შეაფასონ, გააცნობიერონ და ა. შ.

2. **წინაპირობები**

აღწერეთ, რისი ცოდნა და უნარი მოეთხოვება მოსწავლეს გაკვეთილის მიზნებში დასახული ამოცანების ასათვისებლად; რა მასალის ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეს მოცემული გაკვეთილის უკეთ გასაგებად?

3. **რესურსები**

აღწერეთ რა რესურსებია საჭირო მოცემული გაკვეთილისათვის, რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი ეფექტიანად წარიმართოს. რა ტიპის რესურსების გამოყენებაა საჭირო? მაგალითად, სახელმძღვანელოს, ჟურნალების, სტატიების, სამუშაო ფურცლების, ტელეფილმების, ინტერნეტის და ა. შ.

4. **აქტივობები**

აღწერეთ ის აქტივობები, რომლებსაც განახორციელებთ მოსწავლეებთან ერთად: როგორ გააცნობთ მოსწავლეებს გაკვეთილის ძირითად მიზნებს? როგორ დააინტერესებთ მოსწავლეებს და გაუძლიერებთ მოტივაციას მოცემული თემის შესასწავლად? რას გააკეთებთ მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილის განმავლობაში? კლასის ორგანიზების რა ფორმებს გამოიყენებთ დასახული მიზნების განსახორციელებლად? სწავლების რომელ მეთოდს გამოიყენებთ, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად აითვისონ მასალა? როგორ შეაფასებთ, თუ რამდენად ეფექტიანად/წარმატებით შესრულდა დასახული ამოცანები? რა ტიპის დავალებებს მისცემდით კლასში ან სახლში დამოუკიდებელი მუშაობისათვის?

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით:

- **ყურადღებით გაეცანით მოცემულ სასწავლო რესურსებს და უპასუხეთ კითხვებს:**

სასწავლო რესურსი №1



1.1 ,,შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისათვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია. ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია.”

1.2. ,,მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?”

,,კაცია ადამიანი”?!

ილია ჭავჭავაძე

სასწავლო რესურსი №2

2.1. ,,ნუ იკითხავთ, რა შეუძლია გააკეთოს ქვეყანამ თქვენთვის; იკითხეთ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ ქვეყნისათვის.”

2.2. ,,ჩემო მეგობარო მოქალაქეებო მთელი მსოფლიოდან, ნუ იკითხავთ, რა შეუძლია გააკეთოს ჩემმა ქვეყანამ თქვენთვის, არამედ, ერთად რა შეგვიძლია გავაკეთოთ კაცობრიობის თავისუფლებისათვის?’

ჯონ კენედის გამოსვლა ინაუგურაციაზე,

1961 წლის 20 იანვარი

სასწავლო რესურსი №3

,,ადამიანი მოქმედებისათვის შეიქმნა და საკუთარი შესაძლებლობების დაძაბვით, ხელი უნდა შეუწყოს, თავისი და სხვების გარემო პირობების შეცვლას იმგვარად, რომ ამით საუკეთესოდ იქნეს უზრუნველყოფილი თითოეულის ბედნიერება.”

,,მორალური სენტიმენტების თეორია”

ადამ სმითი

1. დაასახელეთ ერთი თემა, რომლის განხილვაცაა შესაძლებელი სამივე სასწავლო რესურსის გამოყენებით.

2. დაასაბუთეთ თემის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. რა მიზანს ემსახურება შერჩეული თემის სწავლება?

3. განსაზღვრეთ გაკვეთილის მიზანი, რომელსაც დაგეგმავთ მოცემული 3 სასწავლო რესურსის გამოყენებით (კონკრეტულად რა ცოდნა, უნარ-ჩვევები და განწყობა/დამოკიდებულება უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა?).

4. მოცემული სასწავლო რესურსების გამოყენებით დაგეგმეთ 2 სასწავლო აქტივობა, რომლითაც შესაძლებელია გაკვეთილის მიზნის მიღწევა. აღწერეთ ეს აქტივობებები.

5.საგაკვეთილო მიზნის შესაბამისად და №3 სასწავლო რესურზე დაყრდნობით, რა საშინაო დავალებას მისცემდით მოსწავლეებს?

გთავაზობთ მოცემული რესურსებით დაგეგმილი გაკვეთილის ნიმუშს:

1.	**თემა**	პიროვნება, მოქალაქე, მსოფლიო მოქალაქე. („მე შემიძლია შევცვალო”)
2.	**შესაბამისობა საგნის სწავლების მიზნებთან**	**თემის შესწავლის მიზანია:** მოსწავლის პიროვნული ზრდისა და პასუხიმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბების ხელშეწყობა. მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი მოვალეობის გაცნობიერების ხელშეწყობა.
3.	**გაკვეთილის მიზანი**	**ცოდნა:** ინდივიდის როლი პირადი, საკუთარი ქვეყნის და სამყაროს კეთილდღეობისა და განვითარებისათვის; პასუხიმგებლობის ტიპები (პირადი და სამოქალაქო პასუხისმგებლობა). **უნარი**: ანალიზისა და მსჯელობის; **განწყობა** – გააცნობიეროს და აღიაროს საკუთარი როლი და პასუხიმგებლობა. ჩამოუყალიბდეს საკუთარი დამოკიდებულება: „მე არ მეშინია მოვალეობების, მე მივესალმები მათ”
4.	**აქტივობა**	**აქტივობა 1.** სასწავლო რესურსების ანალიზი: ადამიანის როლის, ფუნქციის განსაზღვრა. ორგანიზების ფორმა – ჯგუფური მუშაობა. ა) მუშაობს 4 ჯგუფი. (13 წუთი) დავალებები ჯგუფებისათვის არის განსხვავებული: I ჯგუფი – სასწავლო რესურსი №1.1 თქვენი აზრით რა არ უნდა გავაკეთოთ ადამიანებმა. რატომ არ უნდა გავაკეთო? რას ეფუძნება ეს აკრძალვები? (*მორალური კანონი და კანონმდებლობა*). II ჯგუფი – სასწავლო რესურსი №1.2 (პირადი პასუხისმგებლობა) რა უნდა ვაკეთოთ ადამიანებმა. რა პაუხისმგებლობა გვაკისრია საკუთარი თავის წინაშე, რა შეგვიძლია გავაკეთო პირადი გარემოცვის (ოჯახი, მეგობრები და სხვა) კეთილდღეობისათვის? III ჯგუფი – სასწავლო რესურსი №2.1 (სამოქალაქო პასუხიმგებლობა) რა მოვალეობები გვაქვს მოქალაქეებს ქვეყნის წინაშე. რისი გაკეთება შემიძლია საზოგადოებისათვის, ქვეყნისათვის? IV ჯგუფი –სასწავლო რესურსი №2.2 რა მოვალეობები გვაქვს, როგორც მსოფლიოს მოქალაქეს. რისი გაკეთება შემიძლია კაცობრიობის განვითარებისათვის? ბ) ჯგუფების პრეზენტაციები: 14 წუთი.

		აქტივობა 2 დისკუსია: საკუთარი როლის, ფუნქციის, პასუხისმგებლობის აღიარება. ორგანიზების ფორმა – მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას მთელი კლასის მონაწილეობით (14 წუთი) სადისკუსიო საკითხები: რას ნიშნავს იყო პიროვნება; არის თუ არა ყველა ადამიანი პიროვნება; პიროვნებად იბადები თუ ყალიბდები; შესაძლებელია თუ არა „გაადამიანება კაცისა." რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? მნიშვნელოვანია თუ არა ინდივიდის როლი საკუთარი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის; მოქალაქის როლი ქვეყნის აღმშენებლობისათვის, საზოგადოების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და განვითარებისათვის. როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი ამ როლში? შეგიძლიათ პოზიტიური როლი შეასრულოთ საკუთარი თუ ზოგადი გარემოს გაუმჯობესებაში? გაქვთ ამის სურვილი?
5.	**საშინაო დავალება**	გავაცნოთ სასწავლო რესურსი №3 (4 წუთი) როგორ ესმით ადამ სმიტის (თანამედროვე ეკონომიკისა და კაპიტალიზმის „მამის") სიტყვები. როგორ ხედავენ საკუთარ თავს როლში – შეცვალე უკეთესობისაკენ. („ადამიანად ყოფნის ხიბლი") ინდივიდუალურად მოამზადონ ესსე: „მე არ მეშინია მოვალეობების, მე მივესალმები მათ"

რეკომენდებული ლიტერატურა:

- სამოქალაქო განათლება, ლექსიკონი-ცნობარი. I და II ნაწილი; მასწავლებლის ბიბლიოთეკა; გამოცდების ეროვნული ცენტრი. 2010 წ. (ან 2011 წლის ერთ წიგნად გაერთიანებული გამოცემა).
- დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა. სატრენინგო მასალები. dvv international. 2007 წ. http://civics.ge/index.php?m=841&cat_id=17
- ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. 2006 წ.
- ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში – სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის. წიგნი III. ავტორები: როლფ გოლობი, ტედ ჰუდლესტონი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2009 წ. http://el.ge/ge/books/details/38
- დემოკრატიის სწავლება – სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის. წიგნი VI. ავტორები: როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, 2012 წ.

  http://www.dswy.eu/pdfs/demokratiis_scavleba.pdf
- მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში – სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის. წიგნი IV. ავტორები: როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, 2012 წ.

  http://www.dswy.eu/pdfs/monacileoba_demokratiul_saz.pdf
- კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით. ევროპის საბჭო, 2004 წ.

  http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/library/human_right_ge.asp
- კომპასიტო, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისათვის. ევროპის საბჭო, 2004 წ. http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/library/human_right_ge.asp
- სამოქალაქო განათლება. მეთოდური გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2010 წ.

  http://www.dswy.eu/pdfs/HandbooK_GEO.pdf.pdf

- მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში. ალუდა გოგლიჩიძე. *სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის, მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები, Project Harmony, 2011*

http://www.civics.ge/index.php?m=844

- როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე. ნინო ბესელია, ნინო ბოკერია, მაკა კორძაძე. *სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის, მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები, Project Harmony, 2011*

http://www.civics.ge/index.php?m=844

- თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის. ნინო გვარამაძე, ნინო მიწიშვილი.*სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის, მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები, Project Harmony, 2011*

http://www.civics.ge/index.php?m=844

- თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ნინი ერემაშვილი,ლევან ახვლედიანი.*სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის, მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები, Project Harmony, 2011*

http://www.civics.ge/index.php?m=844

- *კულტურათშორისი სწავლება, T-kit. ევროპის საბჭო და ევროკომისია, 2000 წ.*

http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/library/coe_ge.asp

- *რელიგიური მრავალფეროვნება და ინტერკულტურული განათლება: სახელმძღვანელო სკოლებისათვის, ევროსაბჭო, 2007 წ.*

მასწავლებელი უნდა იცნობდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნის სწავლების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს, ასევე სამოქალაქო განათლების გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს (მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნებს)

ინტერნეტ რესურსები:

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/

  საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ციფრული ბიბლიოთეკის კოლექცია და სამოქალაქო განათლების ვირტუალური ბიბლიოთეკა შეიცავს მონაცემებს სამოქალაქო განათლების საკითხებზე შექმნილი წიგნებისა და მათი ავტორების შესახებ:

  - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php
  - CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა: http://el.ge

- ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა: http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/library/human_right_ge.asp

- სამოქალაქო განათლების ვებ პორტალის ბიბლიოთეკა. სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა, PH international: http://www.civics.ge/index.php?m=844

- პროექტი „დემოკრატია იწყება შენით!“ ვებ პორტალის ბიბლიოთეკა. http://www.dswy.eu/index.php?a=main&pid=18&lang=geo&page=1

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა

ტესტი სამოქალაქო განათლებაში

2012

ინსტრუქცია

ტესტი ეყრდნობა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. იგი ამოწმებს მასწავლებლის საგნობრივ კომპეტენციასა და საგნის სწავლების მეთოდიკას.

თქვენს წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტში სხვადასხვა ტიპის დავალებებია. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ. ყველა პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ. წერეთ გარკვევით. პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

ტესტის ბუკლეტის ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის.

გაითვალისწინეთ:

გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ტესტის მაქსიმალური ქულაა -70

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

- **არჩევითბოლოიანი დავალება (№ 1-3, 14 , 16.1, 17-19)**

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში უნდა დასვათ X ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

- **შესაბამისობის დადგენა (№ 4-6, 21)**

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. უნდა დაადგინოთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეული დავალება 1 ან 2 ქულით ფასდება.

- **თანმიმდევრობის დადგენა (№ 7-9 , 20)**

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი უნდა დაალაგოთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

- **შეცდომის შესწორება (№ 10)**

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები. თქვენ გევალებათ შეცდომების პოვნა და მათი შესწორება. ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, 1 ქულით შეფასდება ყოველი ნაპოვნი შეცდომა მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **დავალება ღია დაბოლოებით (№11-13, 15, 16.2-3, 22-25)**

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით და მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

I. პროფესიული ცოდნა და უნარები

1. **ვინ აფინანსებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეულ ხარჯებს?**

ა. ცენტრალური ბიუჯეტი

ბ. ადგილობრივი ბიუჯეტები

გ. საერთაშორისო ორგანიზაციები

დ. პრეზიდენტის ფონდი

2. **რომელია მართებული მსჯელობა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე დემოკრატიული სახელმწიფოების რაოდენობის ზრდის გამომწვევი მიზეზების შესახებ?**

I. ცივი ომის დასრულების შემდგომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიზაცია.

II. 1980-იანი წლებიდან სამხრეთამერიკული სახელმწიფოების დემოკრატიულობის ზრდა.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. არცერთი

დ. ორივე

3. **რა განსხვავებაა აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას შორის?**

ა. აქტიური უფლება გულისხმობს პირის შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, ხოლო პასიური - ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობას.

ბ. აქტიური უფლება გულისხმობს პირის შესაძლებლობას არჩეულ იქნას ამა თუ იმ არჩევით თანამდებობაზე, ხოლო პასიური - ხმა მისცეს მისთვის სასურველ საარჩევნო სუბიექტს.

გ. აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობა პირს აქვს სრულწლოვანების შემთხვევაში, ხოლო პასიურია ეს უფლება პირის სრულწლოვანებამდე.

დ. აქტიური უფლება გულისხმობს პირის შესაძლებლობას ხმა მისცეს მისთვის სასურველ საარჩევნო სუბიექტს, ხოლო პასიური - არჩეულ იქნას ამა თუ იმ არჩევით თანამდებობაზე.

4. **მოსწავლის ეფექტური კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მოსმენის უნარის განვითარება. I სვეტში მოცემულია მოსაუბრის გამონათქვამი და მსმენელის პასუხის ვარიანტები, II სვეტში - მსმენელის პასუხის ტიპები. მსმენელის გამონათქვამები შეუსაბამეთ პასუხის ტიპებს:**

I	II
მოსაუბრე: „ძალიან მიჭირს საქმეს თავი გავართვა, იმდენი რამ მაქვს მოსაწესრიგებელი, ხარისხიანად ვერაფერს ვაკეთებ“	
ა. მსმენელი: ,,შარშან ზუსტად ასე ვიყავი, მაგრამ როგორც კი ვარჯიში დავიწყე, თითქოს მეტი ენერგია გამიჩნდა და საქმესაც უკეთ ვასწრებ;“	
ბ. მსმენელი: ,,მესმის, ძალიან სტრესულია, როდესაც ბევრი საქმე გაქვს და წესიერად ვერაფერს ასწრებ;“	**1. აქტიური მოსმენა**
გ. მსმენელი: ,,რას ამბობ, შენ ხომ ყოველთვის ისეთი ორგანიზებული ხარ. ალბათ გარშემომყოფები არ გაცლიან, რომ შენს საქმეს მიხედო;“	**2. ინტერპრეტაცია**
დ. მსმენელი: ,,მართლა? სამსახურის საქმეს გულისხმობ, თუ - სახლის?;“	**3. რჩევა**
ე. მსმენელი: ,,ნუ იტყვი. მეც ასე ვარ. ამ ყველაფერს დროის არასწორი განაწილება იწვევს.“	

5. **განათლების სისტემა ხელს უნდა უწყობდეს მოქალაქის ჩამოყალიბებას მულტიკულტურულ საზოგადოებაში ჰარმონიული თანაცხოვრებისათვის. შეუსაბამეთ I სვეტში მოცემული კულტურული სხვაობების მართვის სტრატეგიათა აღწერა II სვეტში მოცემულ სათანადო მოდელს.**

I.	II.
ა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ინდივიდის უფლებას, იცხოვროს ეთნიკურად და კულტურულად განსხვავებულ გარემოში. განამტკიცებს განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებს შორის მიმღებლობასა და აქტიურ თანამშრომლობას. **ბ**. უმცირესობის წარმომადგენელთა კულტურა ქრება. იკარგება მათი კულტურული თვითმყოფადობა და ერთიან კულტურას ერწყმის. **გ.** განამტკიცებს პატივისცემისა და ტოლერანტობის უნარებს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, ხელს უწყობს მათ შორის ნდობის გაჩენას და თანაცხოვრებას დისკრიმინაციის ელემენტების გამორიცხვით. **დ.** კულტურული სხვაობები დაფასებულია, აუცილებელია ყველა კულტურული ჯგუფის მშვიდობიანი და თანაბარუფლებიანი ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ინსტიტუტებში. ღირებულებათა ანალიზის ფონზე უპირატესობა მაინც დომინანტი კულტურის მახასიათებლებს ენიჭება.	**1. ასიმილაციის** **2. ინტეგრაციის** **3. მულტიკულტურული** **4. ინტერკულტურული**

6. **რუკა ასახავს რანჟირებულ მონაცემებს, სადაც თითოეული სახელმწიფო შეფასებულია მის მიერ ტრეფიკინგის საერთაშორისო ხასიათის, მასშტაბებისა და მის დაძლევაზე მიმართული ძალისხმევის შესაბამისად. რუკის ანალიზის საფუძველზე, დაამყარეთ შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის.**



(წყარო: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები, 2010წ.)

I.	II.
ა. წითელი **ბ. ნარინჯისფერი** **გ. მწვანე** **დ. ყვითელი**	**1.** პირველი დონე - სრულად შეესაბამება ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტით განსაზღვრულ მინიმალურ სტანდარტებს; **2.** მეორე დონე - არ შეესაბამება სრულად ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტით განსაზღვრულ მინიმალურ სტანდარტებს, თუმცა მნიშვნელოვან ძალისხმევას მიმართავს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; **3.** მეორე დონე (სამეთვალყურეო სია) - არ შეესაბამება სრულად მინიმალურ სტანდარტებს, თუმცა არსებობს შეთანხმება, რომ ქვეყნის მხრიდან გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; **4.** მესამე დონე - **არ** შეესაბამება ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტით განსაზღვრულ მინიმალურ სტანდარტებს და არ იჩენს ძალისხმევას შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

7. ქრონოლოგიურად დაალაგეთ საერთაშორისო ორგანიზაციები მათი დაარსების თარიღის მიხედვით:

1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია
4. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

8. დაალაგეთ თანმიმდევრობით ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის საფეხურები მონაწილეობის (ჩართულობის) ხარისხის ზრდის შესაბამისად:

1. ერთობლივი მოქმედება, თანამშრომლობა
2. კონსულტირება, აზრის გაზიარება
3. გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლების გადაცემა
4. მოქალაქეთა ინფორმირება

9. დაალაგეთ თანმიმდევრობით ინფორმაციის გაცვლის (კომუნიკაციის) პროცესის საფეხურები:

1. ინფორმაციის გადაცემა მეტყველებით, ჟესტებით, მიმიკით
2. ინფორმაციის კოდირება
3. ინფორმაციის გადამუშავება, დეკოდირება
4. მსმენელის სუბიექტური გავლენა
5. მოსაუბრის სუბიექტური გავლენა
6. ინფორმაციის აღქმა სმენით, მხედველობით

2					

10. (11ქ.) თქვენი ამოცანაა, მოსწავლის ნაშრომის შესწორება. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, აღმოაჩინეთ და შეასწორეთ შეცდომები:

ებრაელთა დევნა

ქსენოფობიის ერთ-ერთი ფორმაა ეიჯიზმი, რაც ებრაელი მოსახლეობის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას, მათ დევნასა და დისკრიმინაციას გულისხმობს. პირველად ეს ტერმინი XVIII საუკუნის 70-იან წლებში გამოიყენეს და მისი შემოღება გერმანელ ვილგელმ მარისა და ფრანგი ერნესტ რენანის სახელს უკავშირდება. იშვიათად, მის სინონიმად იხმარება იუდოფობია.

ებრაელთა დევნის საკითხი ისეთივე ძველია, როგორც თავად ებრაული დიასპორა. პალესტინიდან ებრაელთა ფართო განსახლება ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში ანტიკური ხანიდან იწყება. მოგვიანებით, შუა საუკუნეებში ებრაელები საზოგადოების მარგინალურ ფენას წარმოადგენდნენ და ძირითადად, ქალაქებში მათთვის სპეციალურად განკუთვნილ კვარტლებში, ქრისტიანთაგან გამოყოფილად – თერმებში ცხოვრობდნენ. ებრაელთა დარბევისა და დევნის ფაქტები განსაკუთრებით გაძლიერდა ჯვაროსნული ომების დროს. XIII საუკუნეში ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში ებრაელებს სპეციალური ნიშნები უნდა ეტარებინათ მათი მაღალი სოციალური სტატუსის აღსანიშნავად. გაჭირვებისა და ეპიდემიების დროს ებრაელები ,,განტევების ვაცად“ იქცეოდნენ ხოლმე. მაგალითად, შავი ჭირის ეპიდემიის დროს მათ ჭების მოწამლვაში ადანაშაულებდნენ.

ისტორიაში ებრაელობის ყველაზე სასტიკი დევნა კომუნისტურმა რეჟიმმა მოაწყო. ეს რეჟიმი ებრაელებთან ერთად ,,რასობრივად ნაკლულ“ ერად მიიჩნევდა ბოშებსაც, ასევე სდევნიდა ჰომოსექსუალებს, სულით ავადმყოფებს. ეს მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელმაც დაახლოებით 6 მილიონი ებრაელის სიცოცხლე შეიწირა, პოგრომების სახელითაა ცნობილი, თვითონ ებრაელები კი შოად მოიხსენიებენ.

XIX საუკუნეში დაარსდა და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა ებრაელი ერის გაერთიანებისა და პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს დაარსებისთვის. 1959 წელს დაარსდა ისრაელის სახელმწიფო, სადაც დღეს 6 მილიონზე მეტი ებრაელი ცხოვრობს. დღეს ისრაელი მსოფლიოს საშუალოდ განვითარებულ სახელმწიფოთა ჯგუფს მიეკუთვნება.

ისრაელის სახელმწიფო საზღვრები განისაზღვრა ევროკავშირის დაყოფის გეგმით. ისრაელის მიერ საზღვრების გეგმით გათვალისწინებულ ფარგლებს გარეთ გადაწევამ კიდევ უფრო გაამწვავა დაპირისპირება მეზობელ არაბულ ქვეყნებთან. მოუგვარებელია კონფლიქტი პალესტინელი არაბებით დასახლებულ ღაზის სექტორთან, რომელსაც ისლამისტური ორგანიზაცია ალ-ქაიდა აკონტროლებს.

11. (7ქ.) თქვენი ამოცანაა, მოსწავლეებთან იმსჯელოთ თემაზე „ადამიანი და თავისუფლების პრობლემა.”

11.1. განუმარტეთ მოსწავლეებს თავისუფლების არსი (თავისუფლების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მნიშვნელობა).

11.2. დაასრულეთ სქემა „თავისუფლების სტრუქტურა“: დაასახელეთ თავისუფლების სტრუქტურის შემადგენელი ელემენტები, რომელსაც დაამატებდით სქემას.



11.3. როგორ წყვეტს ნების თავისუფლების პრობლემას ფილოსოფიური თეორია ფატალიზმი? მოკლედ დაახასიათეთ თეორიის ძირითადი პრინციპები.

11.4. დაასახელეთ ფილოსოფიური თეორია, რომელიც ნების თავისუფლების პრობლემას ფატალიზმის საპირისპიროდ წყვეტს? მოკლედ აღწერეთ მისი ძირითადი პრინციპები.

11.5. კიდევ რომელ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავდით თემის სრულყოფილი გააზრებისათვის? დაასაბუთეთ ამ საკითხის განხილვის მნიშვნელოვნება.

12. მოცემულ ჩამონათვალში ზედმეტია ,,ინდუიზმი". აუხსენით მოსწავლეს, რა ძირითადი ნიშნითაა იგი ზედმეტი?

ა. ქრისტიანობა

ბ. ინდუიზმი

გ. ისლამი

დ. იუდაიზმი

13. მოცემულ ჩამონათვალში ზედმეტია ,,პარლამენტის დადგენილება". ახსენით, რა ძირითადი ნიშნითაა იგი ზედმეტი?

ა. პარლამენტის დადგენილება

ბ. პრეზიდენტის განკარგულება

გ. მინისტრის ბრძანება

დ. სასამართლოს გადაწყვეტილება

14. საწყისს წყვილში მოცემული მიმართების მიხედვით დაადგინეთ, რომელია ზედმეტი ჩამონათვალში. (ჩამონათვალიდან რომელში <u>არ არის</u> საწყისი წყვილის ანალოგიური მიმართება?)

<u>ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა - საფრანგეთი</u>

ა. საპრეზიდენტო რესპუბლიკა - ბელგია

ბ. საპარლამენტო რესპუბლიკა - თურქეთი

გ. კონსტიტუციური მონარქია - იაპონია

დ. აბსოლუტური მონარქია - ომანი

15. (5ქ.) მოცემული ტექსტის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

ქვეყნის ტერიტორიის ფართობი 69.7 ათასი კვ. კილომეტრია და სახმელეთო საზღვარი ოთხ სახელმწიფოსთან აქვს. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ.

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - ერთპალატიანი პარლამენტი, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ აირჩევა პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით.

სახელმწიფოს მეთაურია პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი. პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი პარლამენტის თანხმობით ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრების დანიშვნაზე; მთავრობა თავისი საქმიანობით პასუხისმგებელია პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით; ასევე პარლამენტს უფლება აქვს დასვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.

მართლმსაჯულებას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით სასამართლოები ახორციელებენ. თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ.

ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში შეიქმნება ორი პალატა: საბჭო და სენატი.

სახელმწიფოს დროშაზე გამოსახული ჰერალდიკური ნიშანი მაცხოვარსა და ევანგელისტებს განასახიერებს. ეს ზოგადქრისტიანული სიმბოლო, როგორც ჰერალდიკური ნიშანი პირველად 1099 წელს ჯვაროსან ჟოფრუა დე ბუილონის გერბზე დაფიქსირდა, ვინაიდან ამ პიროვნებამ მაცხოვრის საფლავის მცველის ტიტული მიიღო. ეს სიმბოლო ასევე გვხვდება იერუსალიმის გერბზე.

15.1. ტექსტის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრეთ აღწერილი სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა. დააკონკრეტეთ სახელმწიფო მმართველობის ფორმა.

15.2. შეგვიძლია თუ არა ტექსტში მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე ვიმსჯელოთ სახელმწიფოში დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების არსებობის შესახებ. პასუხი დაასაბუთეთ.

15.3. რომელ სახელმწიფოზეა საუბარი ტექსტში?

16. (4ქ.) მოცემული რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



16.1. რას ასახავს მოცემული რუკა?

ა. პოლიტიკურ რეჟიმებს
ბ. სიღარიბის გავრცელებას
გ. რელიგიის გეოგრაფიას
დ. ბავშვთა შრომის გამოყენებას

16.2. დაასახელეთ, რა არის აღნიშნული მოცემული რუკის ლეგენდაზე ღია ლურჯი (2) და ყავისფერი (3) ფერებით.

16.3. დაასახელეთ, რას აღნიშნავს მოცემული რუკის ლეგენდაზე შაბიამნისფერი (1) ფერი;

II. საგნის სწავლების მეთოდიკა

17. **განსაზღვრეთ, რომელი სასწავლო ქმედებაა ყველაზე მეტად ადეკვატური აღნიშნული მიზნის მისაღწევად:**

სასწავლო მიზანი: *თქვენი მიზანია, მიაწოდოთ მოსწავლეებს ინფორმაცია კონფლიქტურ სიტუაციაში განსხვავებული ქცევითი სტრატეგიების შესახებ და ასწავლოთ ამ ქცევითი სტრატეგიების გარჩევა.*

ა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოიყვანონ კონკურენტული, კომპრომისისა და განრიდების ქცევითი სტრატეგიების განხორციელების მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან და იმსჯელონ, რა შედეგით დასრულდა თითოეული სიტუაცია;

ბ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაიყონ ჯგუფებად, გაიხსენონ ან წარმოიდგინონ და აღწერონ სიტუაციები, სადაც, მათი აზრით, კომპრომისი, შეგუება ან განრიდება შეიძლება იყოს საუკეთესო ქცევითი სტრატეგია;

გ. მასწავლებელი ხატავს სქემას, სადაც მოცემულია კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევითი სტრატეგიების დასახელებები და სთხოვს მოსწავლეებს, მოკლედ დაახასიათონ თითოეული სტრატეგია;

დ. მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციის აღწერილობას და სთხოვს იმსჯელონ ამ სიტუაციაში გამოყენებული ქცევის შესაძლო დადებით და უარყოფით ეფექტებზე. მასწავლებელი მოსწავლეთა დახმარებით წარმოადგენს დისკუსიის შედეგებს დიაგრამის სახით.

18. განსაზღვრეთ, რომელი სასწავლო ქმედებაა ყველაზე მეტად ადეკვატური აღნიშნული მიზნის მისაღწევად:

<u>სასწავლო მიზანი:</u> *მოსწავლეებმა გაიუმჯობესონ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების ამოცნობის უნარი.*

ა. მასწავლებელი ადამიანის უფლებათა დეკლარაციის დოკუმენტს ყოფს 5 თანაბარ ნაწილად და ჯგუფებს ურიგებს. მათ ევალებათ გაეცნონ დეკლარაციის ნაწილს, ფორმატზე ჩამოწერონ თითოეული მუხლით გათვალისწინებული უფლება და წარუდგინონ მთელ კლასს;

ბ. მასწავლებელი მცირე ჯგუფებს ურიგებს ადამიანის უფლებათა ნუსხას და ბარათებს, სადაც კონკრეტული ამბავია აღწერილი ადამიანის ცხოვრებიდან. ჯგუფებს ევალებათ მისი ანალიზი ადამიანის უფლებების ნუსხაზე დაყრდნობით;

გ. მასწავლებელი ხატავს სქემას და კლასს სთხოვს ფორმატზე ჩამოწერილი უფლებების კლასიფიკაციას, მოცემული სქემის შესაბამისად;

დ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ინდივიდუალურად ჩამოწერონ საკუთარი სურვილები და საჭიროებები, რის შემდეგაც ურიგებს მათ ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს. მოსწავლეებს ევალებათ თითოეულ სურვილსა და საჭიროებას მიუწერონ შესაბამისი უფლება.

19. განსაზღვრეთ, რომელი სასწავლო ქმედებაა ყველაზე მეტად ადეკვატური აღნიშნული მიზნის მისაღწევად:

<u>**სასწავლო მიზანი:**</u> *თქვენი მიზანია, განუვითაროთ მოსწავლეებს ასერტიული ქცევა და ჩამოუყალიბოთ დამოკიდებულება, რომ ასერტიული ქცევა, განსხვავებით პასიური ან აგრესიული ქცევისგან, მეტად ეფექტურია და სასარგებლო.*

ა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ მაგალითები, როდესაც, მათი აზრით, მოიქცნენ აგრესიულად ან პასიურად; გააანალიზონ, რა შედეგი მოაქვს მსგავს ქცევას და მოიფიქრონ, რა იქნებოდა ამ სიტუაციაზე ასერტიული რეაქციის შესაძლო ვარიანტი და თანმდევი შედეგები;

ბ. მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს, სადაც მოცემულია ამა თუ იმ სიტუაციაზე საპასუხო ქცევითი რეაგირების აღწერილობა (ასერტიული, აგრესიული და პასიური) და სთხოვს ჯგუფურად განსაზღვრონ, ქცევის რომელ ტიპს განეკუთვნება თითოეული მათგანი;

გ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაიყონ ჯგუფებად და მოიფიქრონ კონკრეტული სიტუაციის შესატყვისი აგრესიული და პასიური ქცევის მაგალითები და მოიფიქრონ, რა მიზეზები განაპირობებს აგრესიული და პასიური ქცევის განხორციელებას;

დ. მასწავლებელი მაგალითებზე დაყრდნობით უხსნის მოსწავლეებს, რა განსხვავებაა ასერტიულ, აგრესიულ და პასიურ ქცევას შორის. შემდეგ სთავაზობს როლურ თამაშს, სადაც მოსწავლეებს მოეთხოვებათ მიცემული სიტუაციის შესაბამისად განასახიერონ ასერტიული, აგრესიული და პასიური ქცევა.

20. დაალაგეთ თანმიმდევრულად მოსწავლის მიღწევები შესაბამისი სააზროვნო უნარების სირთულის ზრდის მიხედვით.

1. იცნობს ადამიანის უფლებათა დეკლარაციას და შეუძლია ადამიანის უფლებების ჩამოთვლა;

2. მსჯელობს ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე. გააზრებული აქვს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და საკუთარი როლი ადამიანის უფლებათა დაცვაში;

3. შეუძლია ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირება;

4. შეუძლია ადამიანის უფლებების კლასიფიკაცია სხვადასხვა სქემით.

21. (2ქ.) ადამიანის განვითარების ინდექსის **(HDI)** შესახებ მსოფლიოს მონაცემთა ცხრილი (წყარო: http://hdr.undp.org/en/media/HDR_2011_EN_Table1.pdf) და ქვემოთ მოცემული დიაგრამა მასწავლებელმა გამოიყენა სასწავლო რესურსად თემისათვის „სოციო-ეკონომიკური განვითარება და საქართველო".

ადამიანის განვითარების ინდექსის მაჩვენებლები წლების მიხედვით



I სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები, ხოლო II სვეტში - აზროვნების სხვადასხვა დონე. შეუსაბამეთ კონკრეტული სასწავლო აქტივობა შესაბამის კოგნიტურ მიზანს:

I	II
ა. განიხილეთ საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსის მაჩვენებლები წლების მიხედვით და იმსჯელეთ ტენდენციებზე; განსაზღვრეთ განვითარების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება საქართველო და შეადარეთ ეს მაჩვენებელი მსოფლიოსა და ევროპის და ცენტრალური აზიის მაჩვენებლებს;	**1. გაგება**
ბ. გაეცანით ადამიანის განვითარების ინდექსის მსოფლიო მონაცემებს. (წყარო: http://hdr.undp.org/en/media/HDR_2011_EN_Table1.pdf); განვითარების თითოეული ჯგუფიდან (ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო თუ დაბალი) ამოწერეთ ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყანა;	**2.გამოყენება**
გ. გაიხსენეთ ან მოძებნეთ საქართველოს მაჩვენებლები სხვა ინდექსებში ან საზომებში (მაგ: კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI). შექმენით საქართველოს მაჩვენებლების ცხრილი წლების მიხედვით. შეადარეთ ერთმანეთს მაჩვენებლების დინამიკა და ტენდენციები. იმსჯელეთ, რამდენად ასახავს მონაცემები რეალურ სურათს. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება არგუმენტებით;	**3. ანალიზი** **4. სინთეზი**
დ. აღწერეთ ადამიანის განვითარების ინდექსის კომპონენტები - ძირითადი განზომილებები და ინდიკატორები; ახსენით, რატომ იყენებენ ამ კომპონენტებს ადამიანის განვითარების ინდექსის განსაზღვრისათვის.	

22. (3ქ.) დაასახელეთ თემა, რომლის გააზრებაშიც დაეხმარება მოსწავლეებს ქვემოთ აღწერილი სასწავლო აქტივობა. ჩამოაყალიბეთ კონკრეტული სასწავლო მიზანი, რომლის მიღწევაცაა შესაძლებელი ამ აქტივობით. პასუხი დაასაბუთეთ.

<u>სასწავლო აქტივობა:</u>

1. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, იპოვონ პარტნიორი. წყვილთაგან ერთ-ერთს სთხოვეთ, ასწიოს ხელი და მუშტად შეკრას. პარტნიორის დავალებაა გახსნას ეს მუშტი. ამის გასაკეთებლად მიეცით ერთი წუთი. 2. შეწყვიტეთ პროცესი და შეეკითხეთ იმათ, ვისაც მუშტი ჰქონდა შეკრული, თუ რას აკეთებდა მათი პარტნიორი.

22.1	თემა:
22.2.	სასწავლო მიზანი:
22.3.	დასაბუთება:

23. (7ქ.) თქვენი ამოცანაა, მოცემული რესურსის გამოყენებით მოსწავლეებში სადისკუსიო უნარების განვითარება. დაკვირვებით წაიკითხეთ მოტანილი ფრაგმენტი და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

,,არქიტექტორი, ვიდრე შენობას ააგებდეს, ჯერ ნიადაგს სინჯავს და სწავლობს, რათა დარწმუნდეს - გაუძლებს თუ არა იგი ნაგებობის სიმძიმეს; ბრძენი კანონმდებელიც ასე იქცევა - ვიდრე კარგ კანონებს შეადგენდეს, წინასწარ სწავლობს, ხალხი, ვისთვისაც მან ისინი უნდა შექმნას, შეძლებს თუ არა ამ კანონთა ატანას. ...

ამ მხრივ, ხალხთა უმრავლესობა, ისევე როგორც ადამიანებისა, დამჯერნი მხოლოდ ახალგაზრდობაში არიან, სიბერეში კი გამოუსწორებელნი ხდებიან. როცა ხალხის ადათ-წესები დამკვიდრებულია, ამასთან ერთად ცრურწმენებსაც ფესვები ღრმადა აქვთ გადგმული, მათი შეცვლის სურვილი არა მარტო ფუჭი საქმეა, არამედ სახიფათოც. ხალხსაც, უგუნური და მშიშარა ავადმყოფივით ექიმის დანახვაზე რომ აკანკალებს, საკუთარ წყლულებთან მიკარების ატანაც არ შეუძლია, ამის მიზანი თუნდაც ამ წყლულთა განკურნება იყოს.

ახალგაზრდობა ბავშვობა როდია. ხალხებს, ადამიანთა მსგავსად, აქვთ ყრმობის პერიოდი, ანდა, თუ გნებავთ, სიმწიფის პერიოდი. ამიტომ სანამ ხალხებს კანონებს დაუქვემდებარებდეთ, ჯერ მათ სიმწიფის დადგომას უნდა დაელოდოთ; მაგრამ ხალხის მოწიფულობა ყოველთვის იოლი შესაცნობი როდია; თუ მას ვერ ეღირსე, მაშინ მთელი გარჯა ამაო იქნება. ზოგი ხალხი დისციპლინისათვის გაჩენისთანავეა მომწიფებული, ზოგს კი ამისთვის ათი საუკუნე მაინც სჭირდება.“

,,საზოგადოებრივი ხელშეკრულება”, ჟან ჟაკ რუსო (1712-1778).

კითხვები:

23.1. ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემა და განმარტეთ, რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ეს თემა მოტანილ ფრაგმენტთან დაკავშირებით;

23.2. ჩამოაყალიბეთ ორი ურთიერთსაპირისპირო პოზიცია, რომელიც, თქვენი აზრით, უნდა წარმოიშვას ამ დისკუსიის დროს;

23.3. ჩამოაყალიბეთ საკუთარი არგუმენტები დისკუსიის დროს წარმოქმნილი თითოეული პოზიციის დასაცავად.

23.4. თქვენი ამოცანაა, მოსწავლეთა დისკუსიის შეფასებისათვის ზოგადი რუბრიკის შექმნა. დაასახელეთ სქემის დანარჩენი სამი უმთავრესი კრიტერიუმი და ახსენით მათი საჭიროება დისკუსიის შეფასებისათვის.

დისკუსიის შეფასების ზოგადი რუბრიკა

	I. კრიტერიუმები	II. დასაბუთება
A	საუბარი	დისკუსიისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლის მეტყველების უნარი. მეტყველება უნდა იყოს გამართული, მსმენელისათვის გასაგები და მკაფიო.
B		
C		
D		

24. (8ქ.) **გაეცანით მოსწავლეების ნაშრომებს და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული სქემით:**

მასწავლებელმა გაკვეთილზე განიხილა თემა „ეკონომიკური სისტემები“ და მოსწავლეებს შესაბამისი მითითებების შემდეგ შესთვაზა წერითი დავალება: „საბაზრო ეკონომიკა და მისი ძირითადი პრინციპები“.

<u>I მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება</u>

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციობას ეანსაზღვრავს ბაზარი, მისი ეანმსაზღვრელი ძალაა მოძხძარებელი, მისი მოთხოვნილებები და ინტერესები. მიწოდება უნდა მოხდეს ისეთი საქონლის, რომელზეც მოთხოვნაა.

ყველაზე მეტად საბაზრო ეკონომიკას მჭრძანებლუფრისაეან ეანაესხვავებს სახელმწიფოს ძეზლუდული როლი და კერძო საკუთრების აონერობა. ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის დროს ეკონომიკას მართავს სახელმწიფო, იეი ეეემავს რა უნდა ანარმოოს ყვეკანამ, სახელმწიფო ეანსაზღვრავს ფასებს, ხელფასის ოდენობას.

საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფოს აძოცანაა ეკონომიკური ზონის ხელშენუობა. სახელმწიფო იღებს კანონებს, ანარმოებს საზოეადოებრივ პროდუქტს.საბაზრო ეკონომიკისათვის ეანმსაზღვრელია კერძო საკუთრების აონერობა. ადამიანებს და ფირმებს აქვთ უფლება წარმოების საშუალებების ფლობისა და ეანკარგვის.

საბაზრო ეკონომიკას ალტერნატივა არ ეაჩნია. მას შეუძლია შექმნას ეკონომიკური ზონისა და ეანვითარების წინაპირობა. მაერამ პოსტსოციალისტურ ყვეყნებში საბაზრო ურთიერთობებზე ეადასვლა ძრავალ პრობლემას წარმოშობს.

II მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება

ეკონომიკური სისტემა, რომელიც ბაზარზეა ორიენტირებული და რომელსაც წარმართავს და არეგულირებს ბაზარი, არის საბაზრო ეკონომიკა.

საბაზრო ეკონომიკა თავისუფალი მეწარმეობის სისტემაა. კერძო პირებს, საწარმოებს შეუძლიათ შეიძინონ ან ეაყიდონ სხვადასხვა რესურსები, აწარმოონ ის პროდუქტი, რომელთაც მიიჩნევენ საჭიროდ. წარმოების საშუალებების უმრავლესობა კერძო საკუთრებაშია, შესაბამისად ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის პირადი დაინტერესება, მოგების მიღება. საბაზრო სისტემას მართავს ბაზრის ინტერესები. სახელწიფოს არ ეკისრება არანაირი როლი და არ აქვს ეავლენა ეკონომიკაზე. საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ნიშანია კონკურენცია მწარმოებლებს, ასევე მომხმარებლებს შორის. მაზარა დამოკიდებული ფასები და საქონლის მიწოდება. მეცოქეობა მაქსიმალური მოგებისათვის ხელს უწყობს პროგრესია და საწარმოო ძალების ეანვითარებას.

სხვადასხვა ეკონომიკური სისტემა სხვადასხვაეგვარად პასუხობს კითხვას: რა ვაწარმოოთ, როგორ ვაწარმოოთ, ვისთვის ვაწარმოოთ? ცენტრალიზებულ ეკონომიკაში იმას, თუ რა და როგორ იწარმოება ეანსაზღვრავს წეს-ჩვეულებები. წარმოებული საქონელი და მომსახურება არ იცვლება წლების მანძილზე. ძირითადად აკმაყოფილებს საკუთარი წევრების მხოლოდ საარსებო მოთხოვნილებებს და საბაზრო ეკონომიკისაეან ეანსხვავებით არ იძლევა ჯარბი პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას. ცენტრალიზებული ეკონომიკა ძირითადად იზოლირებულ ჯეუფებსა და ნაკლებად ეანვითარებულ ქვეყნებშია შემორჩენილი, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ერევა ლიბერალიზმის იდეოლოგიას და უპირისპირდება ცენტრალიზებულ დაეგეგმარებაზე დამყარებულ ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ხშირად ცოცალიცარიზმის საფრთხეს წარმოშობს და რომლის ნიმუშსაც კომუნისტური რეჟიმის ქვეყნების ეკონომიკა წარმოადეენდა.

შეფასების სქემა

	I. რა მოწმდება	II. მაქსიმა-ლური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი		
			0 ქულა	1 ქულა	2 ქულა
A.	**განმარტება** (სწორად ესმის თუ არა მოსწავლეს საბაზრო ეკონომიკის არსი)	1	არასწორად განმარტავს	სწორად ესმის არსი	_
B.	**ძირითადი პრინციპები** (იცნობს თუ არა საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს, ნიშნებს);	5	თითოეული სწორად დახასიათებული პრინციპი - თითო ქულა		
C.	**განსხვავება ეკონომიკის სხვა სისტემებისაგან** (შეუძლია თუ არა განასხვავოს საბაზრო ეკონომიკა სხვა ეკონომიკური სისტემებისაგან)	2	ვერ ასახელებს განმასხვავებელ ნიშნებს	სწორად ასახელებს განმასხვავებელ ნიშნებს მხოლოდ ერთ სისტემასთან	სწორად ასახელებს განმასხვავებელ ნიშნებს ორივე სისტემასთან
D.	**საკუთარი დამოკიდებულება** (ეკონომიკის რომელ სისტემას ანიჭებს უპირატესობას და რატომ)	2	არ ჩანს საკუთარი დამოკიდებულება, ან დასკვნა არაადეკვატურია	გამოთქმულია საკუთარი მოსაზრება, მაგრამ სუსტადაა არგუმენტირებული	მსჯელობა მკაფიოა და ლოგიკური, გამყარებულია არგუმენტით

ყურადღებით გაეცანით შეფასების სქემას და შეაფასეთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი მოცემული სქემის მიხედვით. მოსწავლეებს დაუწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე.

მოსწავლისათვის თქვენს მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ ცხრილში:

		A	B	C	D
24.1	I მოსწავლის შეფასება				
24.2	II მოსწავლის შეფასება				

25. (6ქ.) თქვენი ამოცანაა, მოცემული სასწავლო რესურსის გამოყენებით დაგეგმოთ სასწავლო პროცესი თემის „როგორ იქმნება მედია" შესასწავლად.

<u>**სასწავლო რესურსი:**</u> *მასწავლებელმა პოპულარული ბეჭდითი მედია საშუალებებიდან ოთხი სტატია შეარჩია. თითოეული სტატია რამდენიმე ნაწილად დაყო და ბარათებზე გადაიტანა (თითო ნაწილი - თითო ბარათზე). თითო სტატიის ბარათები თითო კონვერტში მოათავსა. ბარათები სტატიის სათაურით ცალკე დაიტოვა.*

25.1. აღწერეთ აქტივობა, რომლის დაგეგმვაც მიზანშეწონილია ამ რესურსის გამოყენებით (აღწერეთ აქტივობა დეტალურად, რას დაავალებთ მოსწავლეებს, ორგანიზების რომელ ფორმას გამოიყენებთ, დაასახელეთ, რა ინფორმაციას მიაწვდით).

25.2. დაასახელეთ აღწერილი სასწავლო აქტივობის მიზანი (რომელი კონკრეტული საკითხის შესწავლასა და უნარების განვითარებას უწყობს ხელს თქვენს მიერ დაგეგმილი აქტივობა).

25.3. დაასახელეთ და მოკლედ აღწერეთ სასკოლო პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოიყენონ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა და უნარები.

	თემა „როგორ იქმნება მედია"
25.1.	**აქტივობა** (აღწერეთ თანმიმდევრულად, სრულყოფილად და ლაკონურად სასწავლო ქმედება)
25.2.	**მიზანი** (ცოდნა და უნარები:)
25.3.	**სასკოლო პროექტი** (დაასახელეთ და მოკლედ აღწერეთ)

შავი სამუშაოსათვის:

სამოქალაქო განათლება

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტის შეფასების სქემა

<table>
<tr><th>დავალება №</th><th>სწორი პასუხი</th><th>მაქსიმალური შეფასება</th></tr>
<tr><td></td><td>I. პროფესიული ცოდნა და უნარები</td><td></td></tr>
<tr><td>1.</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>2.</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>3.</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>4.</td><td><table><tr><td>I</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td></tr><tr><td>II</td><td>3</td><td>1</td><td>2</td><td>1</td><td>2</td></tr></table></td><td>1</td></tr>
<tr><td>5.</td><td><table><tr><td>I</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr><tr><td>II</td><td>4</td><td>1</td><td>3</td><td>2</td></tr></table>სწორადაა ბ და დ (1ქ.)</td><td>2</td></tr>
<tr><td>6.</td><td><table><tr><td>I</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr><tr><td>II</td><td>4</td><td>3</td><td>1</td><td>2</td></tr></table></td><td>1</td></tr>
<tr><td>7.</td><td><table><tr><td>2</td><td>4</td><td>1</td><td>3</td></tr></table></td><td>1</td></tr>
<tr><td>8.</td><td><table><tr><td>4</td><td>2</td><td>1</td><td>3</td></tr></table></td><td>1</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>9.</td><td>
<table>
<tr><td>2</td><td>5</td><td>1</td><td>6</td><td>4</td><td>3</td></tr>
</table>
</td><td>1</td></tr>
<tr><td>10.</td><td>
<table>
<tr><td></td><td>შეცდომა</td><td>უნდა იყოს</td></tr>
<tr><td>10.1</td><td>ეიჯიზმი</td><td>ანტისემიტიზმი</td></tr>
<tr><td>10.2</td><td>XVIII</td><td>XIX</td></tr>
<tr><td>10.3</td><td>თერმებში</td><td>გეტოებში</td></tr>
<tr><td>10.4</td><td>მაღალი</td><td>დაბალი</td></tr>
<tr><td>10.5</td><td>კომუნისტურმა</td><td>ნაცისტურმა</td></tr>
<tr><td>10.6</td><td>პოგრომები</td><td>ჰოლოკოსტი</td></tr>
<tr><td>10.7</td><td>სეპარატისტული</td><td>სიონისტური</td></tr>
<tr><td>10.8</td><td>1959</td><td>1948</td></tr>
<tr><td>10.9</td><td>საშუალო</td><td>მაღალ</td></tr>
<tr><td>10.10</td><td>ევროკავშირის</td><td>გაეროს</td></tr>
<tr><td>10.11</td><td>ალქაიდა</td><td>ჰამასი</td></tr>
</table>
</td><td>ყოველი შესწორებული შეცდომა 1ქ.

MAX 11</td></tr>
<tr><td>11.</td><td>11.1 მაქსიმალური 2ქ.
აპლიკანტს სწორად ესმის თავისუფლების არსი. განმარტება სრულყოფილია, მკაფიო, ნათლად ჩამოყალიბებული
11.2 1 ქ. სწორად დასახელებული სქემის ელემენტები;
ნიმუში: ალტერნატივების გაცნობიერება, არჩევანი, პასუხისმგებლობა.
11.3 1 ქ. სწორადაა დახასიათებული თეორიის ძირითადი პრინციპები;
11.4 მაქსიმალური 2ქ.
სწორად აღწერილი თეორიიის ძირითადი პრინციპები 1ქ. / დასახელებულია და აღწერილი 2ქ. ;
11.5 1 ქ. საკითხის განხილვის მნიშვნელოვნების მართებული დასაბუთება</td><td>MAX 7</td></tr>
<tr><td>12.</td><td>ჩამონათვალისათვის დამახასიათებელი იმ ძირითადი საერთო ნიშნის ჩვენება, რომელიც არ ახასიათებს ზედმეტს.

<u>ნიმუში:</u>
ინდუიზმისაგან განსხვავებით, ქრისტიანობა, ისლამი და იუდაიზმი მონოთეისტური რელიგიებია.</td><td>1</td></tr>
</table>

13.	ჩამონათვალისათვის დამახასიათებელი იმ ძირითადი საერთო ნიშნის ჩვენება, რომელიც არ ახასიათებს ზედმეტს. *<u>ნიმუში:</u>* *პარლამენტის დადგენილება შესაძლებელია იყოს ნორმატიული, ხოლო პრეზიდენტის განკარგულება, მინისტრის ბრძანება, სასამართლოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებია.*	**1**
14.	**ა**	**1**
15.	**15.1. მაქსიმალური 2ქ.** დემოკრატიული რესპუბლიკა - 1ქულა, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა -1ქულა; **15.2 მაქსიმალური 2ქ.** აპლიკანტს ესმის დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების არსი, დასაბუთება არ არის სრულყოფილი - 1ქ; / ესმის დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების არსი, მკაფიოდ მიჯნავს მას მმართველობის დემოკრატიული ფორმისაგან, დასაბუთება სრულყოფილია - 2ქ; **15.3 1.ქ** საქართველო	**MAX 5**
16.	**16.1 1ქ. გ.** **16.2 მაქსიმალური 2ქ.** კათოლიციზმი - 1 ქ./შიიტური ისლამი -1ქ.; **16.3 1.ქ** სინტოიზმი/შინტოიზმი	**4**
	II. პროფესიული ცოდნა და უნარები	
17.	**გ.**	**1**
18.	**ბ.**	**1**
19.	**ა.**	**1**

<table>
<tr><td>20.</td><td><table><tr><td>1</td><td>4</td><td>3</td><td>2</td></tr></table></td><td>1</td></tr>
<tr><td>21.</td><td><table><tr><td>I</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr><tr><td>II</td><td>3</td><td>2</td><td>4</td><td>1</td></tr></table>
1 სწორი პასუხი-0 ქ., 2 სწორი პასუხი -1ქ., 3 სწორი პასუხი -2.ქ</td><td>2</td></tr>
<tr><td>22.</td><td>22.1 1ქ. დასახელებულია თემა, რომლის გასააზრებლად შესაძლებელია აღწერილი სასწავლო აქტივობის გამოყენება;
ნიმუში: არაძალადობრივი ურთიერთობები, ქცევითი სტრატეგიები კონფლიქტურ სიტუაციაში.
22.2. 1ქ. დასახელებულია მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული აქტივობით, მიზანი ადეკვატური, კონკრეტული და მიღწევადია;
22.3 1ქ. მართებული დასაბუთება</td><td>3</td></tr>
<tr><td>23.</td><td>23.1 1ქ. სადისკუსიო თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და მოტანილი ფრაგმენტის ადეკვატურია;
23.2 1ქ. დასახელებულია ორი ურთიერთსაპირისპირო პოზიცია, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას დისკუსიის დროს;
23.3 მაქსიმალური 2 ქ.
1ქ. დასახელებული პოზიციის შესაბამისი, კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას;
23.4 მაქსიმალური 3ქ.
ნიმუში: მოსაზრების არგუმენტირება 1ქ./ კომუნიკაციური უნარები 1ქ./ მონაწილეობა, ჩართულობა 1ქ.</td><td>7</td></tr>
</table>

<table>
<tr>
<td>24.</td>
<td>
<table>
<tr><td></td><td></td><td>A</td><td>B</td><td>C</td><td>D</td></tr>
<tr><td>24.1</td><td>I მოსწავლის შეფასება</td><td>1</td><td>2</td><td>1</td><td>1</td></tr>
<tr><td>24.2</td><td>II მოსწავლის შეფასება</td><td>1</td><td>4</td><td>1</td><td>2</td></tr>
</table>
</td>
<td>ყოველი სწორად დაწერილი შეფასება 1 ქულა

MAX 8</td>
</tr>
<tr>
<td>25.</td>
<td>25.1 მაქსიმალური 2ქ. აქტივობა აღწერილია თანამიმდევრულად, ადეკვატურადაა გამოყენებული აღწერილი სასწავლო რესურსი;

25.2 მაქსიმალური 2 ქ. დასახელებულია მიზანი, რომლის მიღწევაც შესძლებელია მოცემული აქტივობით, მიზანი ადეკვატური, კონკრეტული და მიღწევადია;

25.3 მაქსიმალური 2 ქ. დასახელებულია და მკაფიოდაა აღწერილი პროექტი, რომელიც იძლევა მოცემული სასწავლო აქტივობით შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას.</td>
<td>6</td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td>ტესტის მაქსიმალური ქულა</td>
<td>70</td>
</tr>
</table>